საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №59

2025 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-14 მუხლის, მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, 23-ე, 29-ე, 30-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008, №175, სარეგისტრაციო კოდი: 300.280.000.16.009.012.460) 11^2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიწოდების დროებითი ტარიფები:

ა)	3,3-6-10 კილოვოლტი (საყოფაცხოვრებო მომხმარებელი):		
	2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 აპრილამდე	-	15.931 თეთრი/კვტსთ;
ბ)	220/380 ვოლტი (მცირე საწარმოები):		
	2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 აპრილამდე	-	11.127 თეთრი/კვტსთ;

გ) მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს რეგიონებში (სს „ეპ ჯორჯია მიწოდების“ აბონენტებისთვის) საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიწოდების დროებითი ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

გ.ა)	101 კვტსთ-ის ჩათვლით:		
	2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 აპრილამდე	-	1.068 თეთრი/კვტსთ;
გ.ბ)	101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით:		
	2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 აპრილამდე	-	2.438 თეთრი/კვტსთ;
გ.გ)	301 კვტსთ-დან და მეტი:		

	2026 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 აპრილამდე	-	4.424 თეთრი/კვტსთ.

“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე	დავით ნარმანია
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფანგანი
კომისიის წევრი	დავით თვალაბეიშვილი
კომისიის წევრი	გივი სანიკიძე